ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

ქალთა უფლებების ბარბარე ჯორჯაძისეული გაგება

Understanding Women's Rights according to Barbare Jorjadze

მანანა ბანძელაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი
დარეჯან ჩხიროძე
ქუთაისის უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi
Darejan Chkhirodze
Kutaisi University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Barbare Jorjadze is one of the best representatives of Georgian culture. Her work in literary and public activities is noteworthy. Particularly noteworthy is her role in the field of women's rights and education. She is distinguished by fairness, directness and sincerity. These qualities allowed her to use her full potential and not only helped to establish herself, but also to change the status of disenfranchised women.

We are especially interested in her works on women's rights and education. She has dedicated a number of papers to this topic. Her letter „A few words for the attention of young men" is important. She boldly touched on the disenfranchised status of women and noted that the reason for this is poor upbringing and environmental conditions. Girls were instructed from birth that they should be silent and they had less right to education. That low level of education is a result of a lack of awareness of women. It can be said that Barbare Jorjadze is the first Georgian woman by whom gender-feminist ideas were voiced. The new understanding of women's rights was met with hostility by much of society, especially men. However, she was not afraid of such challenges and boldly defended her own opinion.

The first culinary book created by Barbare Jorjadze is noteworthy, where not only Georgian but also European dishes are given. In this way, she contributed to bringing Georgian and European cultures closer. She played a major role in the development of women's economic, social, civil, political, and cultural rights.

საკვანძო სიტყვები: ბარბარე ჯორჯაძე, განათლება, გენდერი, ფემინიზმი.

Keywords: Barbare Jorjadze, Education, Gender, Feminism.

ქალთა უფლებების დაცვა ყოველთვის საინტერესო იყო საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვისაც. ქართველი ქალები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც დაიწყეს ამ თემაზე საუბარი. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა XIX საუკუნის 60-იანი წლები. სწორედ აქედან იწყება საფუძვლიანი მსჯელობა ქალთა უფლებებსა და განათლებაზე. ამ მხრივ გამორჩეული არიან XIX საუკუნის მოღვაწეები: ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, კატო მიქელაძე და სხვ.

სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, დავსვათ კითხვა:

მაინც რატომაა ქალის უფლებების დაცვა საინტერესო?

1. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქალის გარეშე მამაკაცი ვერ იქნება სრულყოფილი არსება;

2. ქალი სიცოცხლის გაგრძელებისა და უკვდავების პირობაა;

3. ქალი სისუსტისა და სიძლიერის ერთიანობაა.

ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის აზრით, ერთი სქესის მიერ მეორეზე დომინირება არის უდიდესი ბოროტება და დაბრკოლება კაცობრიობის წინსვლის გზაზე. უსამართლობაა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც მამაკაცებს ყველაფრის უფლება აქვთ, ქალებს – არაფრის. უფრო მეტიც, ის აღნიშნავდა, რომ ქალი უფრო ზნეობრივი არსებაა, ვიდრე მამაკაცი, ამიტომ მას არ უნდა ჰქონდეს ქალზე ბატონობის უფლება (ბანძელაძე 2011: 116).

საკითხი იმთავითვე მოექცა XIX საუკუნის ქართველი მოღვაწის ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ჩვენი ინტერესის სფეროა შეხედულებები ქალთა განათლებისა და უფლებების შესახებ. ეს პრობლემა მუდამ იდგა საზოგადოების წინაშე. არც იმდროინდელი ეპოქა იყო გამონაკლისი. ბარბარე ჯორჯაძემ, როგორც მრავალმხრივ განვითარებულმა და შეუპოვარმა პიროვნებამ, გადაწყვიტა, ხმამაღლა ესაუბრა ქალთა უფლებების შესახებ. მიაჩნდა, რომ ამის ძირითადი მიზეზი განათლების დაბალ დონეში უნდა დაიძებნოს, ამიტომ ყურადღებას ყოველთვის ამახვილებდა ქალთა განათლების აუცილებლობაზე. თვითონ

ბარბარეს, როგორც ქალს, მარტივი ცხოვრების გზა არ გაუვლია. დავიწყოთ იმით, რომ საკმაოდ პატარა იყო, როდესაც ოჯახი შექმნა, შვილები, სიღარიბე, ვერშემდგარი ქმარი... ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, ისე წარემართა თავისი მოღვაწეობა, რომ გამოეყენებინა საკუთარი პოტენციალი ქალთა უფლებების დაცვის საქმეში (ჯორჯაძე 1986: 75). ცდილობდა, საკითხის მოგვარებით დაემკვიდრებინა არა მარტო საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, არამედ შეეცვალა სხვა ადამიანთა ცხოვრებაც. მან წინა პლანზე წამოწია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, განათლების პრობლემა. იმ დროისათვის მარტივი არ იყო ამ საკითხებზე საუბარი, თუმცა ბარბარე ჯორჯაძემ, როგორც გაბედულმა და სამართლიანმა პიროვნებამ, ეს მოახერხა. მის მოღვაწეობაში იკვეთება პირველი ფემინისტური და გენდერული ცნებები. სწორედ ეს აძლევს მის მოღვაწეობას განსაკუთრებულობის სტატუსს.

მოკლედ ტერმინების – „ფემინიზმისა“ და „გენდერის“ შესახებ: „ფემინიზმი“ ფრანგულია და ნიშნავს საზოგადოებაში ქალის როლის ზრდას. ფემინიზმი ის მსოფლიო მხედველობაა, რომელიც აღიარებს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, სამოქალაქო, პოლიტიკურ და კულტურულ უფლებებს (ჯორჯაძე 1989: 112); „გენდერი“ ინგლისური სიტყვაა. იგი ეხება ქალისა და მამაკაცის შეხედულებებს, მოლოდინებს, წესებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს სულიერ და კულტურულ სფეროში. ამ შეხედულებებს ადამიანებს აწვდის და განუსაზღვრავს სხვადასხვა ინსტიტუტები, მათ შორის ოჯახი, რელიგიური და კულტურული დაწესებულებანი.

ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია. აღფრთოვანებას იწვევს პირველი კულინარიული წიგნი, რომელიც საკმაოდ ორიგინალურადაა შედგენილი და დღესაც საინტერესოდ იკითხება კულინარიით დაინტერესებული ადამიანების მიერ. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, რომელიც იმთავითვე აიტაცა ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ და 1867 წელს წარმატებით გათამაშდა ქუთაისის თეატრში.

ბარბარე ჯორჯაძის მრავალმხრივი ნიჭის გამოძახილია ის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უამრავი ლექსი მიუძღვნეს მას. მათში გაჟღერებულია აღფრთოვანება იმით, რომ ბარბარე გახლდათ გაბედული, პრინციპული ქალბატონი. ადვილი როდი იყო, ქალს თავისი აზრი დაეფიქსირებინა ისეთ საკითხებზე, რომელიც ტაბუდადებული იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის.

აღსანიშნავია ნაშრომი „ქალთა საკითხი“. თემის აქტუალურობა განხილულია სპეციალურ წერილში „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“. წერილი 1893 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“ (კვალი 1893). ხაზგასმულია, რომ ქალთა უუფლებო მდგომარეობის საფუძველი ისაა, რომ აღზრდაშია შეცდომები დაშვებული. თუ გოგონას თავიდანვე ჩასძახის საზოგადოება, რომ „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმედილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად

წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ქალთა უფლებების საფუძველი გაუნათლებლობასთან არის კავშირში. თუმცა გოგონებს თავიდანვე უნერგავდნენ იმის აზრს, რომ „სწავლა და განათლება რა შენი საქმეაო“. განათლების დაბალი დონეა სწორედ საფუძველი უფლებრივი შეზღუდულობისა.

ბარბარე ჯორჯაძის მიზანია, ქალის ცნობიერებას შესძინოს გარკვეული სოციალური სტატუსი, რომ ქალმა შეასრულოს თავისი მოვალეობა არა მხოლოდ ოჯახურ საქმიანობაში, არამედ კულტურასა და სამყაროს გლობალურ განვითარებაში. ქალის განათლებას ისიც უშლის ხელს, რომ იგი უფრო მეტ ოჯახურ საქმეს აკეთებს, ვიდრე მამაკაცი, დიდ დროს უთმობს ბავშვების მოვლას. ქალები ყოველთვის გვერდით უდგანან მამაკაცებს ოჯახურ საქმიანობაში; მამაკაცები, პირიქით, თავს არიდებენ ამ პროცესს. ამავე დროს, ცდილობენ ქალის უფლებრივი უთანასწორობის აღნიშვნას, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ ქალის ცნობიერებაზე და ხშირად უმეორებენ: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით“. ბარბარე ჯორჯაძე ხაზს უსვამს ქალის ნიჭიერებას, უნარებს, აღნიშნავს, რომ განათლების მიღებას ქალთა ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს. თუმცა, ასე თუ ისე, ყველა ქალი მიისწრაფვის განათლებისაკენ, იმდენს მაინც ახერხებენ, რომ მშობლიური დედა ენა შეისწავლონ, ამით ხელს უწყობენ არა მხოლოდ საკუთარი ცნობიერების ამაღლებას, არამედ შვილების აღზრდა-განვითარებასაც ახერხებენ. მამაკაცებს ეს ნაკლებად მიაჩნიათ საკუთარ მოვალეობად, ისინი უფრო ქვეყნის დაცვით არიან დაკავებულნი. წერა–კითხვის გავრცელება მთლიანად ქალთა უფლება გახდა. ამ საქმეს წარმატებით ართმევდნენ თავს. მან კარგად გააცნობიერა, რომ შვილის აღზრდა საკმაოდ რთული პროცესია, რომ დედამ შვილს უნდა შეაჩვიოს წინააღმდეგობათა გადალახვა, დამოუკიდებლობა და მოამზადოს იგი პრაქტიკული, რეალური ცხოვრებისათვის. ბარბარე ჯორჯაძე ეხება ქალების უპირატესობას მამაკაცებთან შედარებით და მოუწოდებს მათ, რომ „მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა“. მისი აზრით, ქალი და მამაკაცი უფლებებით თანასწორია ღმერთის მიერ, მათ შორის არ უნდა იყოს განსხვავება; აღნიშნავდა, რომ კაცებს არა აქვთ უფლება, შეუზღუდონ თავისუფლება ქალს. იგი განსაკუთრებით ახალი თაობის ქალებს მოუწოდებდა განათლებისკენ, გაძლიერებისკენ, დამოუკიდებლობისაკენ; თვლიდა, რომ ძველი თაობა შეჩვეულ გზას მიუყვებოდა და სურდა, იქნებ ახალგაზრდებს მაინც მოეხერხებინათ უფლებების დაცვა განათლებაზე დაყრდნობით.

ბარბარე ჯორჯაძე თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერთ–ერთ პირველ ქართველ ფემინისტ ქალად. აღსანიშნავია მის მიერ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხაზგასმა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ახლებურ გაგებას. იდეამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გაგება გამოიწვია, ქალბატონთა და მამაკაცთა მცირე ნაწილი იწონებდა მის ნააზრევს, მამაკაცთა დიდი

ნაწილი კი პირდაპირი გაგებით აუმხედრდა ახლებურ აზროვნებას. ბარბარე ჯორჯაძეს არ ეშინოდა მსგავსი გამოწვევების, თამამად იცავდა საკუთარ პოზიციებს, მის მიერ დაწერილი წერილი ქალთა უფლებების შესახებ გაოცებას იწვევდა იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეთა შორის. ამის შესახებ აღნიშნავდა ანა თუმანიშვილი-წერეთლისა: „მე მომივიდა მისგან კერძო წერილი საზოგადოთ ქართველი ქალების აღზრდაზე და ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს დაწერილია შინაურათ აღზრდილ მოხუცი ქალისა“ (კვალი 1895).

ქალთა უფლებების საკითხზე დღესაც ბევრს საუბრობენ. არსებობს უამრავი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქალთა უფლებებს იცავს. იმ დროისათვის ამ საკითხზე საუბარი საკმაო გაბედულებას მოითხოვდა. თანაც სწორად გაგებული ეს საკითხი აძლევს თანამედროვე უფლებათა დამცველებს იმის საფუძველს, რომ აღნიშნულ წერილს უწოდონ საქართველოს ფემინიზმის მანიფესტი. აღშფოთებულმა მამაკაცებმა ბარბარეს ცინიკურად მიუთითეს სამზარეულოსაკენ, სწორედ იქაა ქალის ადგილიო. ეს ერთგვარად ახალი გზის დასაწყისი აღმოჩნდა მისთვის. ბარბარე ჯორჯაძის ახალი კულინარიული წიგნი შედევრად იქცა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალის საქმეებშიც შესანიშნავად ერკვეოდა, აკეთებდა ქართულ კერძებს და სხვებსაც მოუწოდებდა ამისაკენ. სწორად შედგენილი კულინარიული წიგნით მიუთითებდა, რომ ერის წარმატებაში მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა. წიგნს სხვა დატვირთვაც ჰქონდა; იგი ერის ეკონომიკურ სიძლიერეზეც იყო გათვლილი. ბარბარე ჯორჯაძის აზრით, ახალბედა დიასახლისი საჭმლის მომზადებისას უყაირათოდ ხარჯავს სანოვაგეს და ვერც ყუათიანად ამზადებს. წიგნი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს ქართული კულტურის სპეციფიკას, რომლის ნაწილიცაა კულინარია. ამ გათვლას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა ტურიზმი იქცა ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ საშუალებად.

ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ბარბარე ჯორჯაძე აქვეყნებს ლექსს „კაცებს“, სადაც აკრიტიკებს ქალთა უფლებების მდგომარეობას. ლექსში სვამს ქალთა უფლებასთან დაკავშირებულ კითხვებს და ითხოვს პასუხს. დაახლოებით იგივე პრობლემებია წინა პლანზე წამოწეული, რომლებიც დასახელებულ წერილშია განხილული: ვერ ეგუება, რომ მამაკაცი ქალს ნივთად აღიქვამს, უსულო საგანთა შორის მიუჩენს ადგილს, არ ცნობს ქალის ინტელექტუალურ პოტენციალს. „როგორც ნივთი დაგიპყრივართ და არა გაქვთ ჩვენი ნდობა“. იგი მოუწოდებს მამაკაცებს დააფასონ ქალი, იზრუნონ მათზე, იდეალად გაიხადონ დედა და ცოლი, და საერთოდ, ქალი. „მშობელ დედას, ცოლს და ასულს ასე როგორ დაამდაბლებთ”. ბარბარე ჯორჯაძე ახსენებს კაცებს იმ ქალბატონებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში: ქეთევან დედოფალი, წმინდა ნინო... ლექსის ბოლოს კიდევ ერთხელ აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობას: „დარწმუნდით, რომ ამხანაგად შევქმნილვართ და უნდა ვიყოთ“ (ჯორჯაძე 1986: 83).

ბარბარე ჯორჯაძის იდეებს ქალთა უფლებების შესახებ დღესაც არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა. ამის გამოძახილია სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ინტერეს-დებიან ამ საკითხით.

2017 წლის 8 მარტს თბილისში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც გათვლილია გენდერული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის. ამ ცენტრმა ბინა დაიდო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კაბინეტის გახსნის მიზანი სწორედ ისაა, რომ გააცნოს საზოგადოებას პირველი ფემინისტი ქალები, მათ შორის ბარბარე ჯორჯაძე, რომლის მოღვაწეობაც ამ კუთხით მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ განვითარების დღევანდელ ეტაპზე შეიცვალა დამოკიდებულება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, განვითარდა შეგნება, ცნობიერება, კულტურა და ოჯახური ტვირთი თანაბრად ნაწილდება ქალსა და მამაკაცს შორის; ამის შედეგია ის, რომ ქალს მეტი დრო და ენერგია რჩება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. სწორედ ესაა „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენელთა მისწრაფება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბანძელაძე 2011: ბანძელაძე მ., ეთიკა. ქუთაისი, 2011.
ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები. თბილისი, 1986.
ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ბ., წერილები. თბილისი, 1989.
კვალი 1893: გაზეთი „კვალი“, №16, 1893.
კვალი 1895: გაზეთი „კვალი“, №17, 1895.